



საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1, ტელ. 27-45-25)

N 69
16/08/2016

69-06-4-201608161752

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის თაობაზე

„საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 35-ე მუხლის მე-1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს № 1 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 51-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივით, მოწვეული იქნეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომა მიმდინარე წლის 17 აგვისტოს 13:00 საათისთვის. (მის.ქ.ოზურგეთი, კოსტავას ქ.№1 საკრებულოს სხდომათა დარბაზი).

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი. სიორიძის ქ. №14).

3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო